



თებერვალი, 2024

ქალაქ არტიკის დახურული ქვის კარიერის ნარჩენების და წყალდიდობის მართვის საპილოტე პროექტი

– არტიკი, სომხეთი

რეზიუმე

არტიკი შეუერთდა მერების შეთანხმებას 2014 წლის ივნისში, მოგვიანებით, 2022 წლის დეკემბერში, იგი შეუერთდა მერების ახალ შეთანხმებას კლიმატისა და ენერჯეტიკისთვის.

პროექტი, რომელსაც ადაპტაციის ფონდის (AF) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს „გარემოსდაცვითი პროექტების განმასხვრცილებელი ერთეული“ (EPIU) სახელმწიფო სააგენტო, მიზნად ისახავს სომხეთის ქალაქ არტიკის მდგრადობის გაუმჯობესებას ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების მიმართ, რომელთა სიხშირე და ინტენსივობა იზრდება კლიმატის ცვლილების შედეგად.

პროექტის კონკრეტული მიზნებია:

- ბუნებრივი და სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტების ადაპტაციის დონის ამაღლება;
- წყალდიდობების თავიდან აცილება და მათი შედეგების აღმოფხვრა;
- კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად დაზარალებული ტერიტორიების ბუნებრივი ლანდშაფტის აღდგენა;
- თემის მეწარმეების, დაწესებულებების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის პოტენციალის გაუმჯობესება

კონტექსტი

არტიკში იწარმოება ქვეყნის სამშენებლო ქვის (ტუფის) პროდუქციის 60%-ზე მეტი. ქვის კარიერების ხანგრძლივმა ექსპლუატაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა დასახლებული პუნქტის გარემოზე. საბადოების ექსპლუატაციის გამო ასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო და ბუნებრივი ლანდშაფტები დეგრადირებულია და დაკარგა ბუნებრივი აღდგენის უნარი.

გარდა ამისა, მტკვრი ძლიერი ქარის მეშვეობით და მყარი ნარჩენები თოვლის დნობისა და ნალექის შედეგად ვრცელდება დიდ მანძილებზე და აბინძურებს ბუნებრივ აგროლანდშაფტებს. შედეგად, მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მოსავლის ხარისხი და ბუნებრივი ლანდშაფტების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის დონე.

კიდევ ერთი პრობლემაა ბოლო 20 წლის განმავლობაში ძლიერი წყალდიდობების სიხშირის ზრდა, რაც განპირობებულია რეგიონისთვის უჩვეულო საგაზაფხულო ტემპერატურით. რაც აჩქარებს თოვლის დნობას, და იწვევს ძლიერი ნიაღვრების წარმოქმნას. 2016 წლის ივნისში მომხდარმა წყალდიდობამ 210,000 აშშ დოლარზე მეტი ზიანი მიაყენა არტიკის საქალაქო ინფრასტრუქტურას და მოსახლეობას.

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად და არტიკის საადაპტაციო შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, EPIU-მ წარმატებით მოახდინა პროექტის განმასხვრცილებლად ადაპტაციის ფონდიდან 1,435,100 აშშ დოლარის მობილიზება.



აქტივობის აღწერა

01

კომპონენტი #1: კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიის ბუნებრივი ლანდშაფტების აღდგენა, მართვა და ადაპტაციის პოტენციალის გაზრდა. აქტივობები: ქვის უმოქმედო კარიერის 40 ჰექტარის აღდგენა, ტყე-პარკისა და რეკრეაციული ზონის მოწყობა, სარწყავი სისტემის მშენებლობა.

02

კომპონენტი #2: 300 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის, 190 ჰა საძოვრების, 15 ჰა სათიბების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების გაზრდა. აქტივობები: სახნავ-სათესი მიწების ნაყოფიერების და საძოვრებისა და მდელოების მედეობის გაზრდა, საძოვრებისა და მდელოების მცენარეული საფარის აღდგენა.

03

კომპონენტი #3: წყალდიდობის პრევენცია და მართვა. აქტივობები: ხეობებში წყლის ნაკადების შემცირების ღონისძიებები, მიწის ყვანლის გამაგრება და მდგრადობის გაზრდა, ყველაზე დეგრადირებული ფერდობების სტაბილიზაცია, ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა, ნაგვის ურნების დადგმა, ქალაქ არტიკში გამავალი სანიაღვრე არხების გაწმენდა, ქალაქ არტიკის მეტეოროლოგიური სადგურის განახლება.

04

კომპონენტი #4: მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცოდნის დონის ამაღლება ქვის კარიერის ნარჩენებისა და წყალდიდობების მართვის შესახებ. აქტივობები: კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე თემის შესაძლებლობების გაძლიერება, მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ღონისძიებებისა და ბუნებრივი კატასტროფების შესახებ, მასმედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა პროექტის შედეგების განხორციელებასა და პოპულარიზაციაში.

ფოკუსირება

პროექტი შეესაბამება მთელი რიგი სტრატეგიული დოკუმენტების მიზნებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას (სომხეთის რესპუბლიკის მეორე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა) და ლანდშაფტების კონსერვაციას, მდგრად გამოყენებას და რეგენერაციას (სომხეთის რესპუბლიკის სტრატეგია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, დაცვის, რეპროდუქციისა და გამოყენების შესახებ) და, კერძოდ, შეესაბამება სომხეთის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო პროგრამის მიზნებს, რომლებიც მიზნად ისახავს სომხეთში კლიმატური რისკების შემცირებას და მართვას კლიმატის ცვლილების ზემოქმედების განხილვის გზით, გაჩენილი შესაძლებლობების სრულად გამოყენებით, სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის შემცირებას და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული დანაკარგებისა და ზარალის თავიდან აცილებას.

არტიკი, სომხეთი



მოსახლეობა:

52 263

ფართობი:

416 კმ²

**მერების შეთანხმების
ხელმოწერის თარიღი:**

20.06.2014

**CO₂ ემისიების
შემცირების მიზანი:**

35%

სამიზნე სექტორი, კლიმატური საფრთხე(ები) და მოსახლეობის სამიზნე მოწყვლადი ჯგუფი

სამიზნე სექტორები, რომლებსაც პროექტი ეხება: სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა, მიწათსარგებლობის დაგეგმვა, ნარჩენები, გარემო და ბიომრავალფეროვნება, ასევე სამოქალაქო დაცვა და საგანგებო სიტუაციები.

პროექტის ფარგლებში მოსაგვარებელი **კლიმატური საფრთხეებია**: უხვი ნალექები, წყალდიდობები, ნიაღვრები, ღვარცოფები და მეწყერები.

მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები, რომლებზეც პროექტი იქნება მიმართული, არიან: პატარა სოფლების მკვიდრნი, მოზრდილები, ქალები და ბავშვები, მოსახლეობა მუდმივი სამუშაოს გარეშე, დაბალანაზღაურებადი მოსახლეობა და სხვა სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებიან სტიქიური კატასტროფებით და რომლებსაც არ აქვთ საკმარისი საშუალებები მიყენებული იმ ზიანის აღმოსაფხვრელად, რომელიც მიადგა მათ საკუთრებას კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფებით.

პროექტმა მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს

იზრდება კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენური ფაქტორების გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ბუნებრივი ლანდშაფტების ადაპტაცია და მდგრადობა.



მცირდება კლიმატის ცვლილების შედეგად წყალდიდობებით გამოწვეული სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები.



ამაღლებულია მოსახლეობის ინფორმირებულობა და ცოდნის დონე აგრო ლანდშაფტების აღდგენისა და წყალდიდობის რისკის შემცირების შესახებ.



სასარგებლო ბმულები

<https://www.adaptation-fund.org/project/artik-city-closed-stone-pit-waste-flood-management/>

€

პროექტის დაფინანსება

დაფინანსების წყარო(ები):
პროექტს სრულად აფინანსებს ადაპტაციის ფონდი საგრანტო დაფინანსების გზით.

ჯამური თანხა:
1,435,100 აშშ დოლარი

ძირითადი მონაცემები



პროექტის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბ ბენეფიციართა ჯამური რაოდენობა **15.000**



ქალ ბენეფიციართა წილი **60%**



რეაბილიტირებული და ადაპტაციის გაზრდილი შესაძლებლობის მქონე მიწის საერთო ფართობი - **30 ჰა** მიწა (**75%**) რეაბილიტირებულია



შექმნილი პარკები და სარეკრეაციო ზონები - შეიქმნა **2 ჰა** პარკი და **10 ჰა** სარეკრეაციო ზონა



აღდგენილია ქარისგან და წვიმის ძლიერ დეგრადირებული ნიადაგის ფენა - **30 ჰა**



დამონტაჟებული სარწყავი სისტემის საერთო სიგრძე - **500 მ**




შექმნილია მრავალწლიანი ნარგავების დასარგავი ფართობი - **300 ჰა**



სათიბების და სახნავი მიწების / საძოვრების ფართობი - **15 ჰა** /**190 ჰა**;



გეობადებით და ბალახის თესვით გამაგრებული ფერდობები - **500 მ²**



გაწმენდილი სანიაღვრე კანალიზაცია - **120მ**



არტიკის მუნიციპალიტეტში დადგმული ნაგვის ურნების რაოდენობა - **150**

საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, დაუკავშირდით:

მისამართი: არმენაკ არმენაკიანის ქ., 129
შენობა #129, ერევანი, 0011, სომხეთის რესპუბლიკა
ელ-ფოსტა: info@cep.am, antifraud@epiu.am
ტელ.: +374 10 651631
ვებსაიტი: www.epiu.am

საკონტაქტო პირი:

ბ-ნი არმენ ესოიანი
Հსომხეთის რესპუბლიკის
გარემოს დაცვის სამინისტროს
სახელმწიფო სააგენტოს „EPIU“
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი